# საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №157

*29 მარტი 2010*

*თბილისი, საქართველო*

2010 წლის 29 მარტს, 13:00 სთ-ზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფისში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდა საბჭოს 11 წევრი: ლევან გახელაძე, დავით კანდელაკი, ოთარ კობერიძე, ლია ჩახუნაშვილი, შორენა შავერდაშვილი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიგა ნასარიძე, ნინო დანელია, ავთანდილ ანთიძე და ნოდარ სარჯველაძე. სხდომას არ ესწრებოდნენ: დავით აფრასიძე და ბაკურ სულაკაური. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო, გაემართა სხდომა.

**სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხ ები:**

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსის პრეზენტაცია.

2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მარკეტინგის სამსახურის სოციოლოგების ჯგუფთან შეხვედრა.

***პირველი საკითხი***

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე უძღვებოდა, მან საბჭოს წევრებს წარუდგინა საზოგადოებრივი მაუწყებლის ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი ნინო ჩიხლაძე, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო ადამიანური რესურსების სამსახურის მუშაობის პრინციპები და სამომავლო გეგმები. (ელექტრონული ვერსია, რომელიც საბჭოს წევრებს ელექტრონულ მისამართებზეც გადაეგზავნათ). საბჭოს წევრების მხრიდან დაისვა კითხვები, რომლებზეც ნინო ჩიხლაძემ ამომწურავად უპასუხა. წამოდგენილი პრეზენტაცია საბჭოს წევრების მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული.

***მეორე საკითხი***

ლევან გახელაძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მარკეტინგის სამსახურის სიციოლოგიური ჯგუფის თანამშრომლები, რომლებმაც საბჭოს წევრებს წარმოუდგინეს თავიანთი მუშაობის პრინციპები (ელექტრონული ვერსია). საბჭოს წევრების მხრიდან დაისვა კითხვები, რომლებზეც მარკეტინგის სამსახურის თანამშრომლებმა ამომწურავად უპასუხეს. წამოდგენილი პრეზენტაცია საბჭოს წევრების მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული.

ლევან გაეხელაძემ შეახსენა საბჭოს წევრებს მომდევნო სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები: „მეორე არხის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა, მაუწყებლის და მარეგულირებელი კომისიის ეთიკის კოდექსის დანერგვა“.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა 16:00 საათზე და შემდეგი სხდომა 6 აპრილს 13:00 საათზე დანიშნა.

საბჭოს თავმჯდომარე: ლევან გახელაძე

საბჭოს წევრები:

დავით კანდელაკი

ავთანდილ ანთიძე

ზურაბ დავითაშვილი

ემზარ გოგუაძე

ლია ჩახუნაშვილი

ოთარ კობერიძე

ბაკურ სულაკაური

ნინო დანელია

ნოდარ სარჯველაძე

შორენა შავერდაშვილი

გიგა ნასარიძე